MES 2 23 0000009102

10/01/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.12.22
სხდომის დაწყების დრო:14:00 სთ
სხდომისდასრულებისდრო:18:05სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
4. **მაკაკა ჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
8. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
9. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

10. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
12. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
13. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმო მადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	**ირმა გრძელიძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
2	**რუსუდან სანაძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	**იამზე კუტალაძე**			I

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი	
4	**სოფიო დოლიძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი	I
5	**მარინე გოგნელაშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორის ასისტენტი, მოწვეული მასწავლებელი	I
6	**ლილი ხეჩუაშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	I
7	**დემურ ჯალაღონია**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	**თეა თათეშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალიტი	II
9	**ანასტასია ზაქარიაძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	**ნინო ჟვანია**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11	**გიორგი გვალია**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი	III
12	**ეკა კვინიკაძე**			III

		სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	
13	**გიორგი ოდოშაშვილი**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	**III**
14	**ნინო მატარაძე**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	**III**
15	**მაკა ლაშხია**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
16	**სალომე გავაშელიშვილი**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**III**
17	**სოფიკო ზვიადაძე**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	**III**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	სტეფან ლოვიკი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ქეთევან თოდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ეკატერინე ფიფია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	სოფიო ბაზაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	კლაუდია მარსიკო	(ჩაერთო „ზუმით“)	I
8	მაკა ლაშხია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
9	მირიან ებანოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
10	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
11	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
12	ნიკოლოზ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	გიორგი არქანია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	მღვდელმონაზონი ეფრემი (გივი ლომიძე)	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო და ,,ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რელიგიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო და ,,ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რელიგიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო და ,,ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რელიგიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ანათლების მეცნიერებების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ანათლების მეცნიერება 0111
12	სწავლების ენა	ნგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. 11ბ, თბილისი, კორპ. III, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	როფესიული განათლება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ანათლების მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ანათლების მეცნიერება 0111
12	სწავლების ენა	ნგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	35
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. 11ბ, თბილისი, კორპ. III, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - ლევან მოსახლიშვილმა, ირინა გველესიანმა, ნინო ჭალაგანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს ორ პროგრამას, რომელთა მიზანია უმაღლესი დონის სპეციალისტების მომზადება განათლების მეცნიერებებში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე, კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტი არის პროფესიულ განათლებასა და მომზადებაზე (VET). ეს ორი პროგრამა ერთობლივად შეფასდა ერთ კლასტერში, რადგან ორივე შემუშავებული იყო

საქართველოს რეგიონებში პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების პროგრამების შემუშავებისა და ოპერირების შესაძლებლობა და წვლილი შეიტანონ იმ ინსტიტუტების მართვაში, რომლებიც რელევანტურია ასეთი პროგრამებისთვის. ორივე პროგრამა ინტერნაციონალიზაციის ძალიან მაღალ დონეს ავლენს, რადგან ისინი ერთობლივად შეიმუშავეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სპეციალისტებმა და ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (OvGU) განათლების მეცნიერებმა, მაგდებურგი, გერმანია, ევროპული დაფინანსებით Erasmus+ პროექტის VoCasian-ის მეშვეობით.

ექსპერტებისთვის მიწოდებული ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია იყო უხვი, შესაბამისი და განახლებული. დროის სიმცირის მიუხედავად, ის დროულად იყო მოწოდებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ძირითადი დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, რამაც ექპერტებს ზოგადად კარგი წარმოდგენა შეუქმნა ორივე პროგრამის შესახებ. ექსპერტებს საშუალება მიეცათ გასაუბრებოდნენ კლასტერის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კურსის შემქმნელებს, შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს და სტუდენტებს. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომი იყო ექსპერტებისათვის.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 3 და 4 ნოემბერს ჰიბრიდულ ფორმატში, პროგრამების საერთაშორისო მახასიათებლის გამო. ქართველმა ექსპერტებმა შეძლეს უნივერსიტეტში დასწრება. გერმანელ პარტნიორებს, ისევე როგორც ზოგიერთ გამოკითხულს, შეხვდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ მოწოდებული Zoom ბმულის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ჩართული იყო აღნიშნული Zoom ლინკის საშუალებით. 1-ელ ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა მოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან. ამ შეხვედრაზე განიხილეს და საკმარისად დააზუსტეს შეფასებასთან დაკავშირებული აუცილებელი საკითხები.

ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც ფიზიკურად იმყოფებოდა უნივერსიტეტში უზრუნველყოფდა აღნიშნულ ფორმატში ჯგუფის წარმატებით მუშაობას. უზრუნველყოფილი იყო ეფექტური თარგმნა. ექსპერტთა ჯგუფი და, კონკრეტულად, თავმჯდომარე გულწრფელ მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობდა შეფასების მომზადებაში და უშუალოდ იმყოფებოდა ვიზიტზე. ასევე მადლობას უხდის ცენტრის წარმომადგენლებს შეხვედრების შეუფერხებელი და უნაკლო ორგანიზებისთვის. მოხსენება დაწერა მთელმა გუნდმა და ჩატარდა რამდენიმე ონლაინ შეხვედრა იმ მიზნით, რომ მიღწეული ყოფილიყო ზოგადი კონსენსუსი კომენტარებსა და შეფასებებზე. ჯგუფის თავმჯდომარე მადლობას უხდის მთელ გუნდს აქტიური და ეფექტური მონაწილეობისთვის.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. უკეთესად წარმოადგინონ შეფასების კრიტერიუმები ზოგიერთ სილაბუსში;
2. კიდევ ერთხელ გადახედონ (ზოგიერთ სილაბისში) დასწრებისათვის ქულის მინიჭებას სტუდენტებისთვის მინიჭებულ შეფასებებში;
3. უკეთესად მოარგონ კურსის მიზნები კურსის შინაარსს საგანში - ადამიანური რესურსების მართვა;
4. ნათლად მიუთითონ, როგორ ფასდება კვლევითი განაცხადები მიღების ეტაპზე;
5. გააუმჯობესონ აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხარისხი პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში, რადგან ზოგიერთ ინტერვიუში კურსების ხელმძღვანელებს გაუჭირდათ კურსის სწავლის შედეგების დაკავშირება პროგრამის სწავლის საერთო შედეგებთან.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ასევე, ისაუბრა საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებით დადებითად აფასებს პროგრამის შემქმნელებსა და უნივერსიტეტს შემდეგი მიმართულებით:

- კლასტერი ქმნის ეკოსისტემას, რომელიც რელევანტურია ერისა და რეგიონისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მიდგომის გამოყენებით, რომელიც აერთიანებს შიდა შეფასების მექანიზმებს, რომლებიც თვით–აკრედიტაციის პროცესს ჰგავს. ეს მოიცავს ინდიკატორების დასაბუთებულ შესწავლას, საერთაშორისო ექსპერტების მიერ კოლეგიალურ შეფასებასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას;
- ორივე პროგრამის სასწავლო გეგმები და სილაბუსები საერთაშორისო ექსპერტებს გრძელვადიანი სამეცნიერო თანამშრომლობის შედეგია;
- კლასტერის შექმნაში ჩართული წინასწარი სამეცნიერო, მაღალი ხარისხის კვლევების მოცულობა განსაკუთრებით მაღალია, ამიტომ ორივე პროგრამა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უახლესი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის ნაყოფი;
- სადოქტორო პროგრამა ხორციელდება ერთობლივი სწავლების სისტემით, რომელშიც ჩართულნი არიან საერთაშორისო სპეციალისტები და ქართველი მეცნიერები, რაც სასარგებლოა სტუდენტების, უნივერსიტეტისა და რეგიონისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესი იყო საკმაოდ საინტერესო და განმავითარებელი უნივერსიტეტისთვის. დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს. რაც შეეხება თეზისს, როგორც კი პროგრამა გამოცხადდება, რა თქმა უნდა სხვა პროგრამების მსგავსად, დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ვებ-გვერდზე.
პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პერსონალი, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალი, სავალდებულო კურსების შედეგებს აკავშირებს პროგრამის სასწავლო კურსებთან, თუმცა ნამდვილად სამომავლოდ გავითვალისწინებთ, რომ პერსონალი კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს პროგრამის განვითარებისა და დახვეწის პროცესში. ასევე უნდა აღინიშნოს სტუდენტების დასწრების შეფასების ნაწილი, კერძოდ, დაწესებულება ცდილობს დასწრება ჩაანაცვლოს აქტივობით, თუმცა მიუხედავად ამისა, არის ზოგიერთი სასწავლო კურსი, რომელიც განსაკუთრებით დასწრების კომპონენტს საჭიროებს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები ახალია და ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების ნაწილში აქტიურად ჩართულია GIZ. დაწესებულება მუდმივად არის ღია სიახლეებისთვის და მაქსიმალურად მზადაა გაითვალისწინოს ყველა რეკომენდაცია პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართულია უცხოელი პერსონალი, შესაბამისად, დააზუსტა თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება ამ პერსონალის სასწავლო პროცესში ჩართვას.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ აპლიკანტმა დაძლიოს აღნიშნული პროგრამა იმ წინაპირობებით, რაც გააჩნია სამაგისტრო პროგრამას, კერძოდ, ის, რომ ნებისმიერი მიმართულების ბაკალავრს შეუძლია წერილობითი გამოცდის გარეშე ჩაბარება და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე დგინდება აპლიკანტის ტრანსფერული და სხვა უნარები.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობებში მოცემულია, რომ უპირატესობა ენიჭება გერმანული ენის მცოდნე აპლიკანტს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა იკითხა, რომ ნიშნავს თუ არა ეს, რომ როდესაც ორმა აპლიკანტმა კარგად იცის ინგლისური, მაგრამ ამასთანავე ერთმა იცის გერმანული, ხოლო მეორემ არა, გულისხმობს თუ არა ეს, რომ ჩაირიცხება მხოლოდ გერმანული ენის მცოდნე სტუდენტი, მაშინ როდესაც სწავლების ენა არის ინგლისური.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურის დებულების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია როგორც დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიურ პერსონალს, ასევე მის გარეშეც. შესაბამისად, საბჭოს თავჯდომარემ დააზუსტა თუ რა შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გარკვეული მიმართულებით შემოტანილია Co-teaching ანუ თანა-სწავლების ნაწილი, რაც ცალსახად ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება დაფინანსების საკითხს, სამი წლის განმავლობაში უცხოელი პერსონალის ხელფასი სრულიად ანაზღაურდება გერმანული მხარის მიერ, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პროცესში თანა-სწავლების ფარგლებში აქტიურად არიან ჩართულნი ქართველი ლექტორები. ამასთან ძალიან ბევრი სხვა შესაძლებლობა არის ამ პროექტის გრძელვადიან ვადაში უზრუნველყოფისთვის.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა, რომელიც არსებობს უნივერსიტეტში იდენტურად ფუნქციონირებს, რაც გულისხმობს, რომ შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის ადამიანის მიღება გასაუბრების შემთხვევაში თუ აპლიკანტი დაასაბუთებს, რომ მას აქვს დარგის ინტერესი და გარკვეული პროფესიული გამოცდილება. ამ ინტერესის ფარგლებში, კურსებიც ისე არის აგებული, რომ ხელს არ უშლის წინარე გამოცდილების მიუხედავად ახალი ცოდნის შეძენას.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გერმანული მხარე უზრუნველყოფს არა მარტო აკადემიურ მხარდაჭერას, ასევე პრაქტიკის განხორციელებასაც. ვინაიდან პრაქტიკის გავლა განსაზღვრულია უშუალოდ გერმანულ სასწავლებლებში, ამიტომაც ძირითადი აქცენტი

გერმანულ ენაზე კეთდება. იმ ადამიანებს, ვისაც პროფესიული განვითარების ინტერესი ექნებათ იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაც გაიარონ გერმანიაში, რა თქმა უნდა გერმანული ენა იქნება აუცილებელი კომპონენტი.
რაც შეეხება ხელმძღვანელობის საკითხს, დაწესებულებას არსებული პრაქტიკა აქვს მხოლოდ პრაქტიკული თანახელმძღვანელობის კომპონენტით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:58
დასრულების დრო: 15:26

აბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული შეფასება, კერძოდ 1.5 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, შესაბამისად შეიცვალა აღნიშნული კომპონენტის შეფასება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ღნიშნულიდან გამომდინარე პირველი სტანდარტის შეფასება განისაზღვრა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან"

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2025 წლის 1 ივლისამდე).

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
ეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია, ყველა სილაბუსმა სრულად წარმოაჩინოს გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები.
- ეკომენდებუკლულია შეფასების კრიტერიუმიდან ამოღებულ იქნეს დასწრების კოპმპონენტი;

ჩევები:

- მიზანშეწონილი იქნება სხვადასხვა ტიპის შეფასების მეთოდების ჩართვა, რათა სხვადასხვა შესაძლებლობებისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტებს თანაბრად მიეცეთ საშუალება გამოავლინონ თავიანთი უნარები.
- იზანშეწონილია, რომ მოდული ინკლუზიურობასა და სსსმ მქონე მოსწავლეებზე გადაიტანონ კურსის სავალდებულო კომპონენტში.
- ასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი "ადამიანური რესურსების მართვის" კურსის მიზნებში და მოერგოს კურსის შინაარსს;
- უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტი ვებგვერდზე გამოაქვეყნებს მისაღები გასაუბრების სავარაუდო თემებს ან კითხვებს და შეფასების კრიტერიუმებს.
- უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტი ვებგვერდზე გამოაქვეყნებს მისაღები გასაუბრების სავარაუდო თემებს ან კითხვებს და შეფასების კრიტერიუმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პროფესიული განათლების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2025 წლის 1 ივლისამდე).

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
ეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა განმარტოს, თუ როგორ ფასდება კვლევითი განაცხადები მიღების ეტაპზე.
- რეკომენდირებულია დაშვების წინაპირობების გადახედვა თანასწორობის პრინციპების დაცვით.

ჩევები:

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს კურსის შემქმნელებს, რომ კიდევ უფრო გაამახვილონ ყურადღება პროგრამის მიზნებში სამეცნიერო კეთილსინდისიერების ხელშეწყობაზე.

- მიზანშეწონილია „პროფესიული განათლების სწავლებისა და სწავლის მეთოდების“ „ასისტენტობის“ წინაპირობად ქცევა და მისი გადატანა არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კომპონენტზე.
- უნივერსიტეტს შეუძლია შექმნას მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების გამოვლენას და მხარდაჭერას მათ სადოქტორო საქმიანობაში.
- უკეთესი იქნება, უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს კვლევითი განაცხადების შეფასებისა და დოქტორანტებთან გასაუბრების კრიტერიუმები..
- უკეთესი იქნება მკაფიო ინფორმაციის მიღება ხელმძღვანელთა და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით. გთხოვთ, დააზუსტოთ ხელმძღვანელებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

2. **მეორე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო და ,,ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	კრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 168; 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ილოსოფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ., თბილისი, კორპ. I, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	კრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 259; 26.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	აგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ილოსოფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ., თბილისი, კორპ. I, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	კრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 281; 26.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ილოსოფიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ., თბილისი, კორპ. I, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - ლევან მოსახლიშვილმა, ირინა გველესიანმა, ნინო ჭალაგანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასება განხორციელდა 10-12 ნოემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეფასების ფორმატი იყო ჰიბრიდული, სადაც ქართველი ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ესწრებოდნენ გასაუბრებას ადგილზე, ხოლო პანელის თავმჯდომარე ონლაინ, zoom

პლატფორმის საშუალებით. აკრედიტაციის ექსპერტებმა 9 ნოემბერს გამართეს წინასწარი შეხვედრა ონლაინ რეჟიმში, სადაც ერთმანეთს გაუზიარეს წინასწარი დასკვნები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიმოხილვის, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების შესახებ და დაგეგმეს შეფასების დეტალები. ექსპერტთა პანელს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა პროგრამის ყველა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეს და დაკვირვებოდა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და სამუშაო გარემო იყო თანამშრომლობითი და მისასალმებელი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა პანელმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინა თავისი ძირითადი მიგნებები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად. ფილოსოფიის სამივე პროგრამა იზიარებს ერთსა და იმავე სფეროს, რაც უზრუნველყოფს თემატურ თავსებადობას და სათანადოდ არის დიფერენცირებული სხვადასხვა დისციპლინური მიდგომების საშუალებით, რათა უზრუნველყოს ეტაპობრივი პროგრესი ზოგადი მონახაზებიდან ფილოსოფიური საგნების სიღრმისეულ ანალიზამდე და განავითაროს შესაბამისი უნარები. მიზნები შეესაბამება ინსტიტუციურ მისიას და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შეესაბამება სიცხადისა და მიღწევადობის შესაბამის კრიტერიუმებს. ისინი მთლიანად შეესაბამება უმაღლესი განათლების სწავლებას ზოგადად და კონკრეტულ სასწავლო დონეებს. საზოგადოებისთვის მოსალოდნელი წვლილი სათანადოდ არის აღწერილი და დასაბუთებული, ასევე მოცემულია კარგი იდეები შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა პოტენციური ინტეგრაციის შესახებ. ინტერნაციონალიზაციის აქტუალობა ადეკვატურად არის ხაზგასმული და შეტანილია როგორც კლასტერის კრიტიკული კომპონენტი, რაც გამოყოფს ამ ასპექტს როგორც საკითხს, რომელსაც შემდგომი განვითარება სჭირდება. ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და საერთო მახასიათებლების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია ინსტიტუციური ვებგვერდის მეშვეობით.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო და ,,ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები სხვა ენობრივი წინაპირობებით დაშვებული სტუდენტების შემთხვევაში.

2. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ყველა სილაბუსი მოიცავდეს გამჭვირვალე და დეტალური შეფასების რუბრიკებს და სწავლის შედეგები სწორად იყოს ფორმულირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესი იყო საკმაოდ საინტერესო და განმავითარებელი უნივერსიტეტისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექპერტთა რეკომენდაციებს. შესაბამისად, მოხდება მათი გათვალისწინება და აუცილებელი ცვლილებების ასახვა დოკუმენტებში.
ამასთან, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ძირითადად პროგრამაზე მოდიან ინგლისური ენის ცოდნით და ამ კუთხით პროგრამა ითვალისწინებს ზოგადად უნივერსიტეტის მოთხოვნებს, თუმცა ვინაიდან სახეზეა ენების ფაკულტეტი პროგრამას არ სურს დაკარგოს ფრანგული და გერმანული ენებით ჩაბარებული სტუდენტები და სწორედ ამიტომ მიღების წინაპირობაში მოცემულია სამივე ენა. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ჩააბარებს გერმანულს ან ფრანგულს, დაწესებულების აკადემიური პერსონალი მზად არის ინგლისურთან ერთად შესთავაზოს გერმანული და ფრანგული ლიტერატურაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ მე-2 რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განისაზღვრება სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსი აღწერს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, კრიტერიუმებს და რუბრიკებს. თუმცა, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები არ შეიცავს აქტივობის შეფასების რუბრიკებს. რაც შეეხება სამაგისტრო საფეხურს, სილაბუსები ადეკვატურია, თუმცა ყველა შემთხვევაში არ მოიცავს შეფასების რუბრიკებს. ამასთან, სადოქტორო პროგრამის კურსები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ქმნიან თანმიმდევრულ მთლიანობას. კრედიტების რაოდენობა და განაწილება ადეკვატურია, თუმცა სილაბუსები ყოველთვის არ შეიცავს შეფასების რუბრიკებს და ამიტომაც სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა გადაიხედოს და გამოხატული იყოს აწმყო დროში. სადოქტორო პროგრამის შინაარსი ადეკვატურია. წყაროებთან და მეორად ბიბლიოგრაფიასთან მუშაობა ადეკვატურია, რათა აღჭურვოს სტუდენტები საკმარისი ცოდნით და უნარებით სასწავლო საფეხურის მიხედვით. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ პრობლემა არ არის სერიოზული. შესაბამისად, მისი გამოსწორება არის საკმაოდ მარტივი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:46
დასრულების დრო: 16:02
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2029 წლის 31 დეკემბრამდე).
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 31 დეკემბერს.

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
ეკომენდაციები:

- დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები სხვა ენობრივი წინაპირობებით დაშვებული სტუდენტების შემთხვევაში.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ზოგიერთი სილაბუსი მოიცავდეს გამჭვირვალე და დეტალური შეფასების რუბრიკებს და სწავლის შედეგები სწორად იყოს ფორმულირებული.
- დაიხვეწოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

ჩევები:

- იმ შემთხვევაშიც, კი თუ არსებობს მნიშვნელოვანი მიღწევები კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათი ჩართულობა შეიძლება გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე გაყვანის შემდგომი უფრო ფართო ღონისძიებებით და დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართვით.
- გაძლიერდეს სტუდენტების გამოკითხვის შინაარსისა და შედეგების შესახებ მასწავლებელთა ინფორმირების პროცედურები, უკუკავშირის და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.
- ვინაიდან მოწვეული პერსონალი და სტუდენტები იზიარებენ შეხედულებებს წყაროებზე მუშაობის სწავლების მეთოდების შესაბამისობაზე ბაკალავრიატის დონეზე, შეიძლება ღირებული იყოს მოცემულ პროგრამაში ამ სფეროს გაძლიერებისათვის გზების შესწავლა, ისე, რომ არ გამორჩეთ უკვე მიღწეული ბალანსი.
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა მცირე ხარვეზად დაასახელეს გარკვეული სირთულეები შეფასების განრიგის შესაბამისობასთან დაკავშირებით, განრიგის გადაფარვის ან მათ შორის ბმების გამო. სასარგებლო იქნებოდა ამ ოპერაციული დეტალების და ზოგადად ამ პრაქტიკული საკითხების გადაჭრა.
- მოწვეულ პერსონალს აქვს გარკვეული შეხედულებები ხელფასებთან დაკავშირებულ შრომის პირობებთან და აკადემიური საქმიანობისთვის წახალისებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის საერთო

გლობალური საკითხი და არ არსებობს მკაფიო გადაწყვეტილებები, მნიშვნელოვანი იქნებოდა მუშაობა მოწვეული პერსონალის პირობების გაუმჯობესებაზე, რათა ხელი შეეწყოს მათ სამეცნიერო განვითარებას.

- აწესებულებამ დაამატოს/გააძლიეროს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი უნივერსიტეტის დონეზე
- გაძლიერდეს მასწავლებელთა საქმიანობაში გამოკითხვების და სტუდენტთა შეფასების შედეგების შეტანის პროცედურები, უკუკავშირისა და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.
- ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემდგომი განვითარების შესაფერის გეგმებს, სასარგებლო იქნება ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, პუბლიკაციებთან და მასწავლებელთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან.
- ამჟამად გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ბიბლიოთეკის რესურსების გამდიდრების გაგრძელება.
- დაწესებულებამ განაგრძოს სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.
- დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა გრანტებისა და პარალელური დაფინანსების მოპოვებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2029 წლის 31 დეკემბრამდე).
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 31 დეკემბერს.

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
ეკომენდაციები:

- დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები სხვა ენობრივი წინაპირობებით დაშვებული სტუდენტების შემთხვევაში.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ზოგიერთი სილაბუსი მოიცავდეს გამჭვირვალე და დეტალური შეფასების რუბრიკებს და სწავლის შედეგები სწორად იყოს ფორმულირებული.

რჩევები:

- იმ შემთხვევაშიც, კი თუ არსებობს მნიშვნელოვანი მიღწევები კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათი ჩართულობა შეიძლება გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე გაყვანის შემდგომი უფრო ფართო ღონისძიებებით და დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართვით.
- გაძლიერდეს სტუდენტების გამოკითხვის შინაარსისა და შედეგების შესახებ მასწავლებელთა ინფორმირების პროცედურები, უკუკავშირის და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა მცირე ხარვეზად დაასახელეს გარკვეული სირთულეები შეფასების განრიგის შესაბამისობასთან დაკავშირებით, განრიგის გადაფარვის ან მათ შორის ბმების გამო. სასარგებლო იქნებოდა ამ ოპერაციული დეტალების და ზოგადად ამ პრაქტიკული საკითხების გადაჭრა.
- მოწვეულ პერსონალს აქვს გარკვეული შეხედულებები ხელფასებთან დაკავშირებულ შრომის პირობებთან და აკადემიური საქმიანობისთვის წახალისებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის საერთო გლობალური საკითხი და არ არსებობს მკაფიო გადაწყვეტილებები, მნიშვნელოვანი იქნებოდა მუშაობა მოწვეული პერსონალის პირობების გაუმჯობესებაზე, რათა ხელი შეეწყოს მათ სამეცნიერო განვითარებას.
- გაძლიერდეს მასწავლებელთა საქმიანობაში გამოკითხვების და სტუდენტთა შეფასების შედეგების შეტანის პროცედურები, უკუკავშირისა და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.
- ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემდგომი განვითარების შესაფერის გეგმებს, სასარგებლო იქნება ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, პუბლიკაციებთან და მასწავლებელთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან.
- ამჟამად გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ბიბლიოთეკის რესურსების გამდიდრების გაგრძელება.
- დაწესებულებამ განაგრძოს სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.
- დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა გრანტებისა და პარალელური დაფინანსების მოპოვებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2029 წლის 31 დეკემბრამდე).
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 31 დეკემბერს.

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ეკომენდაციები:

- დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები სხვა ენობრივი წინაპირობებით დაშვებული სტუდენტების შემთხვევაში.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ზოგიერთი სილაბუსი მოიცავდეს გამჭვირვალე და დეტალური შეფასების რუბრიკებს და სწავლის შედეგები სწორად იყოს ფორმულირებული.

ჩევები:

- იმ შემთხვევაშიც, კი თუ არსებობს მნიშვნელოვანი მიღწევები კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათი ჩართულობა შეიძლება გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე გაყვანის შემდგომი უფრო ფართო ღონისძიებებით და დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართვით.
- გაძლიერდეს სტუდენტების გამოკითხვის შინაარსისა და შედეგების შესახებ მასწავლებელთა ინფორმირების პროცედურები, უკუკავშირის და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა მცირე ხარვეზად დაასახელეს გარკვეული სირთულეები შეფასების განრიგის შესაბამისობასთან დაკავშირებით, განრიგის გადაფარვის ან მათ შორის ბმების გამო. სასარგებლო იქნებოდა ამ ოპერაციული დეტალების და ზოგადად ამ პრაქტიკული საკითხების გადაჭრა.
- მოწვეულ პერსონალს აქვს გარკვეული შეხედულებები ხელფასებთან დაკავშირებულ შრომის პირობებთან და აკადემიური საქმიანობისთვის წახალისებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის საერთო გლობალური საკითხი და არ არსებობს მკაფიო გადაწყვეტილებები, მნიშვნელოვანი იქნებოდა მუშაობა მოწვეული პერსონალის პირობების გაუმჯობესებაზე, რათა ხელი შეეწყოს მათ სამეცნიერო განვითარებას.
- გაძლიერდეს მასწავლებელთა საქმიანობაში გამოკითხვების და სტუდენტთა შეფასების შედეგების შეტანის პროცედურები, უკუკავშირისა და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.
- ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემდგომი განვითარების შესაფერის გეგმებს, სასარგებლო იქნება

ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, პუბლიკაციებთან და მასწავლებელთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან.

- ამჟამად გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ბიბლიოთეკის რესურსების გამდიდრების გაგრძელება.
- დაწესებულებამ განაგრძოს სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.
- დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა გრანტებისა და პარალელური დაფინანსების მოპოვებაზე.
- მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელისთვის განკუთვნილი სტუდენტების რაოდენობა არ აღემატება ზღვარს, სასარგებლო იქნება, თუ უსდ იმუშავებს თითო პროფესორზე დისერტაციების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრაზე.
- ზოგიერთ აკადემიური პერსონალის წევრს შორის დაწესებულებამ გაზარდოს ცნობადობა ხელმძღვანელის შეფასების პროცესის შესახებ.

1. **მესამე საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რელიგიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რელიგიის კვლევები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N71, 26.07.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	რელიგიის კვლევები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	რელიგიის კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	რელიგია და თეოლოგია 0221
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, ქ. თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერსაბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ირინა ლობჟანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა (4 სემესტრი, 120 კრედიტი) ხორციელდება 2016 წლიდან. ყოველწლიურად პროგრამა აცხადებს მიღებას 15 სტუდენტისათვის, ხოლო ბოლო ორი წლის მანძილზე ჩარიცხულთა რაოდენობა არის 5. აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 21 ნოემბერს. ვიზიტის დროს ინტერვიუები ჩატარდა ყველა დაინტერესებულ პირთან: თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელობასთან, ძირითად და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.
ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული იყო 3 რეკომენდაცია, ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და დამატებითი დოკუმენტების შედეგად, ამოღებული იქნა ორი რეკომენდაცია.
გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი კვლევითი კომპონენტი არის ე.წ. ექსპედიცია, რომელიც სავალდებულოა, თუმცა კრედიტი არ ენიჭება. ასევე, ექსპედიციის კონცეფციაში მითითებულია, რომ ექსპედიცია, ,,ველზე მუშაობის გამოცდილება, კვლევის უნარების და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სტუდენტს ეხმარება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და რელიგიის კვლევების დარგის უკეთ დაუფლებაში". ექსპედიციის კომპონენტს აქვს შეფასებიის სისტემა, რომელიც მხოლოდ ჩათვლა/არჩათვლაში გამოიხატება, თუმცა მაინც აქვს კრიტერიუმები: სრულად აკმაყოფილებს, ნაწილობრივ აკმაყოფილებს, არ აკმაყოფილებს. ბუნდოვანია, თუ რა განსხვავებაა, ან რაში გამოიხატება შეფასებისას, სტუდენტი სრულად აკმაყოფილებს თუ მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ყველა ან ზოგ კრიტერიუმს. ვინაიდან ექსპედიიციის კომპონენტი არის სავალდებულო, არის კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი, მისი გავლა ,,სტუდენტს ეხმარება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და რელიგიის კვლევების დარგის უკეთ დაუფლებაში", ,,ექსპედიციაში მონაწილეობა წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას" და რადგან მასში უკვე არის ჩადებული ჩაშლილი კომპონენტების გარკვეული შეფასების სისტემა ექსპედიციის კომპონენტს განესაზღვროს გარკვეული კრედიტი, შემუშავდეს ამ კომპონენტის შეფასების

სისტემა. ალტერნატივად, შესაძლებელია ექსპედიციის ინტეგრირება სხვა კურსებში, როგორიცაა, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომი. ასევე უნდა განისაზღვროს, თუ რა ტიპის სამუშაო უნდა შეასრულოს სტუდენტმა ექსპედიციაში და ჩამოყალიბდეს შეფასების ეფექტური მექანიზმი.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რელიგიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:
1. რეკომენდებულია, ექსპედიციის კომპონენტს განესაზღვროს დატვირთვის შესაბამისი კრედიტი, შემუშავდეს ამ კომპონენტის შეფასების სისტემა, შეფასების ეფექტური მექანიზმი, ასევე, დაზუსტდეს, სამუშაოს ტიპები, ხანგრძლივობა, ანგარიშის ჩაბარების კრიტერიუმები. ან მოხდეს ექსპედიციის ინტეგრირება სხვა კურსებში, როგორიცაა, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ექსპედიციის სავალდებულო კომპონენტი, რომელიც გულისხმობს ჰუმანატირული და სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების გამოყენებას ველზე. ველზე მუშაობის გამოცდილება კი უვითარებს სტუდენტს კვლევის ავტონომიურად დაგეგმვისა და განხორციელების და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. ექსპედიციის სპეციფიკა, განსხვავებით სხვა, სტანდარტული სასწავლო კურსებისგან, მდგომარეობს იმაში, რომ მისი ფორმატი მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო მორგებული იმ მრავალფეროვან კვლევით სამუშაოებს, დიზაინსა და მეთოდოლოგიას, რომელიც შეიძლება იყოს დაგეგმილი ხელმძღვანელისა და სტუდენტის მიერ - ექსპედიციის დროს სამუშაოს ტიპი დამოკიდებულია პროფესორის და სტუდენტის მიერ განსაზღვრულ კვლევის ველსა და შერჩეულ მეთოდოლოგიაზე, იქნება ეს ჰუმანიტარული თუ სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდები.” დაწესებულების პოზიციაა, რომ მრავალფეროვნების გამო, რთულია ამ კომპონენტს განესაზღვროს კრედიტი. ექსპედიციის კომპონენტის ამ სახით არსებობა არის გარანტია უკეთესი ხარისხის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რას ეკუთვნის ექსპედიციაში მონაწილეობა, არის ის სასწავლო, პრაქტიკული თუ კვლევითი კომპონენტი.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩანაწერი არის საკმაოდ მწირი და სრული დეტალიზაცია მიღებასთან დაკავშირებით არ არის მოცემული. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა იგულისხმება ზეპირ გამოცდაში, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია ნებისმიერ ბაკალავრის ხარისხის

მქონე სტუდენტს, გამომდინარე აქედან მნიშნელოვანია დადგინდეს არის თუ არა დარგობრივი გამოცდა და როგორ მოწმდება ენობრივი კომპეტენცია.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ დაწესებულება გეგმავს არა ერთ ღონისძიებას პროგრამის პოპულარიზაციის მიზნებისთვის. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას რაიმე ნაბიჯები ამ კუთხით გადადგმული თუ ეს რჩება როგორც სამომავლო გეგმად პროგრამის განვითარების გზაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებ სდაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპედიციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული უფრო მეტად არის კვლევითი კომპონენტი, ვინაიდან მასში არის გათვალისწინებული კვლევის ჩატარების ჩარჩო და წარმოადგენს ერთგვარ ხელშემწყობს კვლევის კომპონენტისთვის. ყველა სავალდებულო კომპონენტი გათვალისწინებულია კურსებში, ხოლო ექსპედიცია დამატებით კომპონენტს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობა უკვე შეიცვას კვლევით კომპონენტს, სადაც შუალედური შეფასება არის კვლევის დიზაინის მომზადება. სემესტრის ბოლოს თავად კვლევის ექსპედიციის კონცეფცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტი დამოუკიდებლად ახერხებს კვლევითი უნარების უფრო მეტად გაძლიერებას. ამასთან უნივერსიტეტი ფინანსურადაც მხარს უჭერს კვლევით ექსპედიციას. ექსპედიციის მიზანია სწორედ დამატებითი გამოცდილება.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზეპირი გასაუბრება ეხება დარგობრივ საკითხებს, კერძოდ, რელიგიის კვლევებში რელევანტურ თეორიებს, პრინციპებს, მიმართულებებსა და ტენდენციებს. რაც შეეხება უცხო ენას, პროგრამა ითხოვს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციას, რაც, ასევე, განსაზღვრულია მიღების წინაპირობებში. B2 დონის დადასტურება შესაძლებელია, ასევე, საერთაშორისო სერთიფიკატის საფუძველზე, ხოლო ენის გამოცდაზე მოცემულია დარგობრივი ტექსტი, რომელიც შეირჩევა პროგრამის ჯგუფის კომისიისა და ენის სპეციალისტების მიერ. შესაბამისად, კანდიდატის მოვალეობაა წაიკითხოს, გაიაზროს ტექსტი და უპასუხოს შესაბამის შეკითხვებს.
რაც შეეხება პროგრამის პოპულარიზებას, მოცემული საკითხის მნიშვნელობა პანდემიის შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა. შესაბამისად, დაწესებულება აქტიურად გეგმავს გარკვეულ ღონისძიებებს პროგრამის პოპულარიზებისთვის. ამასთან უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა მედიასთან. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ, ასევე, დაგეგმილია საზაფხულო სკოლა და საინფორმაციო კამპანიები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:48
დასრულების დრო: 17:35

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს კვლავ აქვს გარკვეული შეკითხვები პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა მემორანდუმების საკითხი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ. პროგრამის ფარგლებში მოცემულია ოთხი მემორანდუმი, თუმცა რამდენად შეესაბამება აღნიშნული მემორანდუმები თავად პროგრამის შინაარსს და ამ კუთხით რამდენად რელევანტურია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს კონრად ადენაუერის ფონდთან 2016 წლიდან, ასევე აღსანიშნავია, რომ ფონდს დაწესებული აქვს

სტიპენდია რელიგიის კვლევების ორი წარმატებული სტუდენტისათვის. აღნიშნული სტიპენდია არის კვლევითი, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტებმა დამატებით უნდა შეასრულონ კვლევა. ამასთან, დაწესებულება თანამშრომლობს მშვიდობის განვითარებისა და თანამშრომლობის ინსტიტუტთან, კერძოდ, სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად მონაწილეობენ ამ ორგანიზაციის კვლევით პროექტებში.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა განმარტა, რომ თავად მემორანდუმების შინაარსის მიხედვით, მხარეების ვალდებულებები არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, თუ მაგალითად რომელიმე ინსტიტუცია არ შეასრულებს თავის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში რა ხდება და სად ხორციელდება აღნიშნული ყველაფერი. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეთა ვალდებულებები ერთმანეთის წინაშე და პასუხისმგებლობის საკითხი საერთოდ არ არის განსაზღვრული მემორანდუმებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ორგანიზაციები, რომლებთანაც დაწესებულება მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს, ერიდებიან მემორანდუმებში მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულებების გაწერას. პროგრამის ნაწილი პრაქტიკის კომპონენტი არ არის, შესაბამისად, თანამშრომლობაზე უარის შემთხვევაში პროგრამას პრობლემები ვერ შეექმნება და არ იქნება ხელისშემშლელი ფაქტორი სტუდენტისთვის სწავლის შედეგებზე გასასვლელად.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დააზუსტა, თუ რომელი ორგანიზაცია იღებს დაწესებულების მიერ დაფინანსებულ სტუდენტს კვლევის განსახორციელებლად.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საველე პრაქტიკის განხორციელება არ არის დამოკიდებული მემორანდუმებსა და თანამშრომლობებზე. ველი ხორციელდება უნივერსიტეტის მხრიდან, შესაბამისად, საველე სამუშაოები და ექსპედიციები მთლიანად ფინანსდება უნივერსიტეტის მხრიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 18:03

ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია შინაარსის გათვალიწინებით გადატანილ იქნა 2.4 კომპონენტში, და მისი შეფასება ნაცვლად "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო 2.2 კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია და მისი შეფასება დარჩა "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რის საფუძველზეც მე-2 სტანდარტი შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რელიგიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რელიგიის კვლევების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2029 წლის 31 დეკემბრამდე), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 31 დეკემბერს.

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე გაფორმდეს მემორანდუმები რელევანტურ ორგანიზაციებთან და დაზუსტდეს თანამშრომლობის ფორმები;
- რეკომენდებულია, ექსპედიციის კომპონენტს განესაზღვროს დატვირთვის შესაბამისი კრედიტი, შემუშავდეს ამ კომპონენტის შეფასების სისტემა, შეფასების ეფექტური მექანიზმი, ასევე, დაზუსტდეს, სამუშაოს ტიპები, ხანგრძლივობა, ანგარიშის ჩაბარების კრიტერიუმები. ან მოხდეს ექსპედიციის ინტეგრირება სხვა კურსებში, როგორიცაა, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომი.

ღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 20 დეკემბერს 18:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით